პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
--- დეკემბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჰოსპიტლის შესახვევისთვის ჰოსპიტლის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ჰოსპიტლის შესახვევს მიენიჭოს ჰოსპიტლის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


1 : 1278
გეოგრაფიული

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032535011**
თარიღი: **16/12/2025**

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსულია #06-03253151-03 წერილი, ჰოსპიტლის შესახვევის სისტემურ ნუმერაციასთან დაკავშირებით.

კომისიის მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდების ისტორია, როგორც დგინდება, ჰოსპიტლის შესახვევი და ჰოსპიტლის ქუჩა ქალაქის განვითარების გეგმაზე დატანილია 1876 წლიდან, სახელი დაკავშირებული იყო ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო ჰოსპიტალთან და ერთგვარ ტოპონიმურ სახელად ჩამოყალიბდა ქალაქის ურბანულ გარემოში.

ქალაქის განაშენიანებისა და განვითარების პროცესმა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანე ურბანული და ქალაქგეგმარებითი სახეცვლილებები გამოიწვია, დროთა განმავლობაში გაქრა ჰოსპიტლის ქუჩა და აქტიურ გეოგრაფიულ ობიექტად დღემდე შემორჩა ჰოსპიტლის შესახვევი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების
წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების შესაბამისად ჩიხების, გასასვლელების თუ შესახვევების სახელდება უნდა განხორციელდეს რომაული ციფრების და იმ ქუჩის სახელწოდების მითითებით, რომელსაც უერთდება ჩიხი, გასასვლელი თუ შესახვევი (მაგ., დიდგორის ქუჩის II ჩიხი). ქუჩის სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში, სახელი ეცვლება ქუჩაზე მიერთებულ ჩიხსაც, გასასვლელსაც და შესახვევსაც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ჰოსპიტლის ქუჩა აღარ არსებობს და დამოუკიდებელ გეოგრაფიულ ობიექტად შემორჩენილია ჰოსპიტლის შესახვევი კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ქუჩად ჩამოყალიბება და ჰოსპიტლის ქუჩის სახელის მინიჭება.

გთხოვთ, უზრუნველყოთ შესაბამისი ღონისძიებების გატარება, თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

10 / ნოემბერი / 2025 წ.

KA011713300079225

№ **254250**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას

ასლი: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს

ასლი: 112-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს

2025 წლის 23 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი N 14-0125266815 (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 248859/17) მომართვის პასუხად გიგზავნით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 10 ნოემბრის № M25014812/3 გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზე განხორციელდა ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სისტემური ნუმერაცია.

დანართი: 3 (სამი) გვერდი.

პატივისცემით,

სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

10 ნოემბერი 2025

გადაწყვეტილება # M25014812/3 (10/11/2025 14:01:22)

რეგისტრაციის შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება **#M25014812** 10/11/2025 09:59:01 (განმცხადებელი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო//), რომლითაც მოთხოვნილია სისტემური ნუმერაცია.

მისამართი: ქალაქი თბილისი, ჰოსპიტლის შესახვევი
საკადასტრო კოდი: 01.17.

თანდართული დოკუმენტაცია:

'საჯარო რეესტრის შესახებ' საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ნუმერაციის განხორციელების თაობაზე.

ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევში მდებარე გეოგრაფიულ ობიექტებს მიენიჭოს ნუმერაცია N M25014812/3 გადაწყვეტილების N1 დანართის შესაბამისად.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს წესით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

დანართი №1

დასახლებული პუნქტი: ქალაქი თბილისი

გადაწყვეტილების ნომერი: M25014812

დანართის მომზადების თარიღი: 10.11.2025

N	საკადასტრო კოდი	ახალი მისამართი	უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემი	X	Y
1	01.17.12.024.012	ნავთლუღის ქუჩა, N:14/ჰოსპიტლის შესახვევი, N:2	ქალაქი თბილისი, ნავთლუღის ქუჩა N14; N16; ჰოსპიტალის შესახვევი N2	486600	4614384
2	01.17.12.023.083	ჰოსპიტლის შესახვევი, N:5ა	ქალაქი თბილისი, ქუჩა ნავთლუღი, N8	486707	4614330
3	01.17.12.023.082	ჰოსპიტლის შესახვევი, N:5ბ	ქალაქი თბილისი, ქუჩა ნავთლუღი, N8	486758	4614341
4	01.17.12.027.050	ჰოსპიტლის შესახვევი, N:5/ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა, N:7	ქალაქი თბილისი, ქუჩა ნავთლუღი, N8, (ნაკვ. 23/011); ქალაქი თბილისი, ქუჩა ნავთლუღი, N8, (ნაკვ. 23/010); ქალაქი თბილისი, ქუჩა ნავთლუღი, N8, (ნაკვ. 23/012)	486657	4614359

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

ქალაქი თბილისი, ჰოსპიტლის შესახვევი

სისტემური ნუმერაცია

N

გადაწყვეტილების ნომერი	M25014812/3
მომზადების თარიღი	10.11.2025



● არსებული ნომერი

● ახალი ნომერი

▭ მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

▬ ქუჩა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032535030**
თარიღი: **16/12/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსულია #06-03253151-03 წერილი, ჰოსპიტლის შესახვევის სისტემურ ნუმერაციასთან დაკავშირებით.
კომისიის მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდების ისტორია, როგორც დგინდება, ჰოსპიტლის შესახვევი და ჰოსპიტლის ქუჩა ქალაქის განვითარების გეგმაზე დატანილია 1876 წლიდან, სახელი დაკავშირებული იყო ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო ჰოსპიტალთან და ერთგვარ ტოპონიმურ სახელად ჩამოყალიბდა ქალაქის ურბანულ გარემოში. ქალაქის განაშენიანებისა და განვითარების პროცესმა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ურბანული და ქალაქგეგმარებითი სახეცვლილებები გამოიწვია, დროთა განმავლობაში გაქრა ჰოსპიტლის ქუჩა და აქტიურ გეოგრაფიულ ობიექტად დღემდე შემორჩა ჰოსპიტლის შესახვევი.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების შესაბამისად ჩიხების, გასასვლელების თუ შესახვევების სახელდება უნდა განხორციელდეს რომაული ციფრების და იმ ქუჩის სახელწოდების მითითებით, რომელსაც უერთდება ჩიხი, გასასვლელი თუ შესახვევი (მაგ., დიდგორის ქუჩის II ჩიხი). ქუჩის სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში, სახელი ეცვლება ქუჩაზე მიერთებულ ჩიხსაც, გასასვლელსაც და შესახვევსაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ჰოსპიტლის ქუჩა აღარ არსებობს და დამოუკიდებელ გეოგრაფიულ ობიექტად შემორჩენილია ჰოსპიტლის შესახვევი, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ქუჩად ჩამოყალიბება და ჰოსპიტლის ქუჩის სახელის მინიჭება.
მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ ჰოსპიტლის შესახვევის (შემდგომში ჰოსპიტლის ქუჩა) სიტუაციური ნახაზი დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 7 (შვიდი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი